

გიორგი კოხრეიძე



პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი და ადგილი: 1967 წ. 14 ივნისი; თბილისი, საქართველო.
ოჯახური მდგომარეობა: უცოლშვილო.

ბანათლება

1990-1995 წწ

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი

- საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი

კომპიუტერული ბამოცდილება

PC Software and Hardware, MS office programs (Word, Excel, Access, PowerPoint and etc.), Pagemaker, Windows, Internet, Photo Express, Photoshop, WinZip, WinRAR etc. Premiere

სამსახურეობრივი ბამოცდილება

1990-1995 წწ

შშმ პირთა სპორტული ფედერაცია

- საერთაშორისო ურთიერთობის მენეჯერი

1995-1999 წ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ინვალიდთა ლიგა“.

- დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. თავმჯდომარის მოადგილე.

1997-1999 წ.

არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება „შშმ პირთა საკოორდინაციო საბჭო“

- თავმჯდომარის მოადგილე

1999-2004 წწ

საქართველოს პარლამენტი

- საქართველოს V მოწვევის პარლამენტის წევრი
- შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

2005 წ. დღემდე

ტელეკომპანია 202.

- დამფუძნებელი და დირექტორი.

2006-2011 წ. წ.

ა/ო „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“

- კონსულტანტი შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2011 წლიდან

არასამთავრობო ორგანიზაცია „მოდრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“

- დამფუძნებელი, გამგეობის თავმჯდომარე

უცხო ენები

ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად), ინგლისური (კარგად).

ბანხორციელებული პროექტები

2011 წ.

- თბილისის ინფრასტრუქტურის ფოტო-მონიტორინგი. (ხორციელდებოდა შშმ პირთა დაფინანსებით) - პროექტის ავტორი და დირექტორი.

2011 წ.

- „ქვეყნის დამოუკიდებლობიდან - ჩემს დამოუკიდებლობამდე“. პროექტი ითვალისწინებდა შშმ პირთა სპორტულ აქტივობებს (დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის მერია, კერძო კომპანიები)- პროექტის დირექტორი.

2012-14 წ.წ.

- „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“. პროექტი ითვალისწინებდა შშმ პირთა სპორტულ, ექსტრემალურ და კულტურულ აქტივობებს. (დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის საკრებულო, კერძო კომპანიები) - პროექტის ავტორი და დირექტორი.

2012 წ.

- „შშმ ახალგაზრდები ახდენენ სამოქალაქო ცვლილებებს“. (დონორი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი) - პროექტის კოორდინატორი.

2012 წ.

- „მე ვიცავ უფლებებს“. (დონორი: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“) - პროექტის კოორდინატორი.

ღამატებითი ინფორმაცია

- 1995 წელს მცინვარწვერძე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპედიციისთვის დაჯილდოვდა „მეგობრობის ორდენით“.
- 2003 წელს საინვალიდო მოძრაობაში განსაკუთრებული წვლილისთვის ორგანიზაცია „წმინდა თამარ მეფის ორდენის“ მიერ დაჯილდოვდა პირველი ხარისხის ორდენით.
- 2013 წელს შშმ პირთა ორგანიზაციების გაერთიანებულ ყრილობაზე (მონაწილეობას იღებდა 98 საზოგადოებრივი ორგანიზაცია) არჩეულ იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებულ შშმ პირთა საკოორდინაციო საბჭოს წევრად.

ძირითადი დებულებები საზოგადოებრივი მაუწყებლის კონცეფციისათვის

თავი I

ზოგადი მიმოხილვა

იდეამ საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ დღემდე საქართველოში ვერ იმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა ევროპელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაციის ძირითადი კანონის მიხედვით, მაუწყებელი ვერ გათავისუფლდა პოლიტიკური სახელისუფლებო გავლენებისაგან. ეს გავლენები განსაკუთრებით მძიმედ აღიქმებოდა წინა ხელისუფლების პირობებში, ასევე ხელისუფლების გადაცემასთან დაკავშირებული ბატალიების დროს. თვალსაჩინო იყო არა მხოლოდ პოლიტიკური ტენდენციები, არამედ შერჩევითი დამოკიდებულება მსახიობების, ტელესახეების მიმართ, ამა თუ იმ გავლენიანი ჯგუფის მხრიდან. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა საზოგადოების მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი ერთის მხრივ და იმავდროულად მწვავე რეაქციები თავად არხზე მიმდინარე პროცესების მიმართ, ტელევიზიაში მიმდინარე პროცესები ერთი ერთში იმეორებდნენ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ დაპირისპირებებს. ამგვარ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოცემულობაში მაუწყებლის ახალი ბორდის თითოეული წევრი დადგება დროის მთავარი გამოწვევის პირისპირ, ან შეასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის ძირითად ფუნქციას, ან იდეა საბოლოოდ განიცდის კრახს.

ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გასამდიერებლად, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის იქმნებოდეს თანაბარი პირობები და პოლიტიკა ეფუძნებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის სოციალურ (და არა სამედიცინო) მოდელს. ამ პროცესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ცნობიერებას და სწორ, ადეკვატურ დამოკიდებულებას, რის შესაცვლელადაც თანამედროვე სამყაროში, მასობრივ მედია საშუალებებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ. სამწუხაროდ, დღემდე შეზღუდული შესაძლებლობის თემა ხშირად შუქდება მთელი რიგი ეთიკური და სხვა სახის დარღვევებით (მაგ. ხშირად წინა პლანზე გამოდის არა კონკრეტული პირი, არამედ ეტლი, ხელჯოხი, ფიზიკური ნაკლოვანება). სიუჟეტებში შშმ პირები გამოყავთ, როგორც ქველმოქმედების ობიექტები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ „ვინმეს“ დახმარებას და თანაგრძნობას, ხშირად ისმის დისკრიმინაციული ტერმინოლოგია, მაგ. საზოგადოებრივი მაუწყებლის 2013-2014 წლის პროგრამულ პრიორიტეტებში (გადაწყვეტილება № 257). მიუხედავად კანონში საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ (16-ე მუხლი. კ.) დაფიქსირებული სწორი ტერმინოლოგიისა, პროგრამულ პრიორიტეტებში ნახმარია ისევ დისკრიმინაციული

ტერმინი „უნარშეზღუდული“ (რეკომენდაცია № 4), რაც მთლიანად შშმ თემისთვის დამამცირებელია.

გარდა ზემოდმოყვანილი შენიშვნებისა (ვიზულათან და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით), საზოგადოებრივ მაუწყებელს შშმ პირთა პრობლემების გადაწყვეტისა და შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით, აქვს ყველანაირი რესურსი მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს მთელი რიგი სოციალური პროექტების განხორციელებას.

თავი II

ძირითადი დებულებები

საზოგადოებრივი არხის, როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური მედიასაშუალების აქტუალობა დღევანდელ საქართველოში ექვს არ იწვევს. იმ სოციო-კულტურულ გარემოში, რომელშიც ვცხოვრობთ, საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი შანსია (კონცეფციის სწორად განხორციელების შემთხვევაში) საზოგადოებამ პოლიტიკურად ან ბიზნესინტერესებისგან თავისუფალი ინფორმაცია მიიღოს მისი მოთხოვნისა და მოთხოვნილებისამებრ.

აქვე, ძალზე მნიშვნელოვანია, მოხდეს გამიჯვნა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ტელევიზიის. გამიჯვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მაუწყებლობას მიენიჭება რამდენიმე ძირითადი ფუნქცია

1. იგი იმუშავებს მხოლოდ საზოგადოებრივ დაკვეთაზე და საზოგადოების ყველა სეგმენტზე, განურჩევლად პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური და სუბკულტურული მიკუთვნებულობისა;
2. დაიცავს საზოგადოების ყველა ფენისა და ყველა სოციალური თუ რელიგიურ-ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს;
3. მაღალკვალიფიციურად გააშუქებს, გაახმოვანებს და ვიზუალის ესთეტიკური პრინციპებით ააწყობს ბადესა და გადაცემებს.
4. იზრუნებს არა მხოლოდ მოსახლეობის ინფორმირებაზე, არამედ მათ განათლებასა და კულტურის დონის ამაღლებაზე;
5. გაითვალისწინებს ყველა ასაკობრივი ჯგუფის დაკვეთასა და მოთხოვნებს
6. შექმნის სტიმულს ადამიანის შემოქმედებითი განვითარებისათვის

7. იმუშავებს საქართველოს რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისა და ამ პრობლემების მოხსნის კუთხით;

8. რიგით მაყურებელს როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონში მისცემს შანსს:

- დაისვენოს;
- გაერთოს;
- აიმაღლოს განათლების დონე;
- აქტიური გახადოს შემეცნება;
- გაიგოს ზუსტი ინფორმაცია ქვეყნის შიგნით და გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ;
- მოისმინოს და გაიგოს ინფორმაცია მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო ცვლილებების შესახებ;
- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაზარდოს თავისი თვითრეალიზაციის საზღვრები;

9. ჯეროვნად გააშუქოს საზოგადოებრივი ინსტიტუტების ინტერესები:

- დაანახოს ადამიანებს საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფასი და ძალა სოციალურ ინტერაქციებში;
- დაანახოს ადამიანებს სოციალური ინსტიტუტების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მედიის საშუალებით

10. შეახსენოს და გაუღვივოს ადამიანებს ტრადიციული და ახალი ღირებულებები, რომელიც გარანტი იქნება ერთიანი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

ზემოთჩამოთვლილი ღირებულებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად გვესახება:

1. მიზნობრივი აუდიტორის მკვეთრი დიფერენციაცია სოციო-კულტურული, ეთნიკურ-რელიგიური თუ სუბკულტურული ინტერესების მიხედვით;
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმატისა და ბადის წინა თეზისთან შესაბამისობაში მოყვანა;
3. პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება მენეჯმენტსა და შემოქმედებით ჯგუფში;

4. ხელისუფლების ტელევიზიის იმიჯის მოსაშორებლად მართებული კონცეფციის შემუშავება და გატარება;
5. გარე შემოქმედებითი და ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის არსებობა
6. შემოქმედებითი ჯგუფისათვის შესაბამისი პროფესიონალებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფის არსებობა;
7. სწორი მენეჯმენტის დაგეგმვა;
8. ფინანსური გამჭვირვალობა.

უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია მენეჯმენტის აწყობა შიდა როტაციის პრინციპით:

1. არსებობდეს არა ტელევიზიის ერთი დირექტორი, არამედ დირექტორთა საბჭო;
2. დირექტორი იცვლებოდეს წელწადში ერთხელ როტაციის პრინციპით.

მნიშვნელოვან ქვეკონცეფციად გვესახება ტელევიზიის პოზიციონირების თემა.

აუცილებელია შემუშავდეს:

1. საზოგადოებასთან კომუნიკაციის კონცეფცია და სტრატეგია;
2. აუცილებელია შემუშავდეს ტელევიზიის პოზიციონირების კონცეფცია და სტრატეგია;
3. აიგოს ტელევიზიის ვიზუალურ და ვერბალურ ნიშანთა სისტემა;
4. გათვალისწინებულ იქნას მაყურებლის ზოგადი ინტერესი ამ მიმართულებით;
5. გათვალისწინებულ იქნას მცირე სოციალური, ეთნიკური და ა. შ. ჯგუფების ინტერესები ამ მიმართულებით;
6. გათვალისწინებულ იქნას რეგიონის მაყურებელთა ინტერესები ამ მიმართულებით;
7. შესაბამისი ვიზუალური, ვერბალური და აუდიალური ნიშანთა სისტემით აიგოს სატელევიზიო ბადის გადაცემათა ქუდები.